

„კონსერვატიული მოძრაობის“ შესაძლო რუსული კავშირები და მისი დაფინანსების გზები

1. „კონსერვატიული მოძრაობის“ დაფინანსებასთან დაკავშირებული ექვები

ღიად პრორუსული „ალტ-ინფოს“ მიერ პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობის“ დაფუძნების შემდეგ გაჩნდა ექვი, რომ ორგანიზაცია დაფინანსებას, სავარაუდოდ, რუსული წყაროებიდან იღებს. იმის გათვალისწინებით, რომ „ალტ-ინფო“ და მისი პოლიტიკური წარმონაქმნი ღიად უჭერენ მხარს რუსეთთან საქართველოს დაახლოებას, შესაძლოა, ეს ექვები საფუძვლიანი იყოს. ვარაუდს ამყარებს ისიც, რომ პარტიის ლიდერები დიდი ხნის განმავლობაში ასაიდუმლოებდნენ დამფინანსებლების ვინაობას. მათი განცხადებით, პარტია შემოწირულებების ხარჯზე ფუნქციონირებდა. შემოწირულებები კი ძირითადად მოდიოდა კონსტანტინე მორგოშიასა და მასთან დაკავშირებული ბიზნესმენებისგან, რომელთა ნაწილი უცხოეთში ეწევა [საქმიანობას](#).

ოფიციალურად ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით „კონსერვატიული მოძრაობის“ შემოწირულებები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან. მათ შორის არ ფიგურირებს კონსტანტინე მორგოშია. შემოწირულებების უმეტესობა პარტიის რეგიონული ოფისების ხელმძღვანელია. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა [ადრეც](#) განაცხადა, რომ ოფიციალურად დეკლარირებული შემოწირულებების ოდენობა არ შეიძლება სავმარისი იყოს საქართველოს მასშტაბით 61 ოფისის შესანახად (ქირა, კომუნალური გადასახადები, შეხვედრები) და ოფისებში დასაქმებული ადამიანების შრომის ასანაზღაურებლად¹.

პარტიის დაფინანსების წყაროების შესახებ საზოგადოებრივი ინტერესი გააღრმავა კონსტანტინე მორგოშიას განცხადებამ რუსეთში მოლაპარაკებებზე წასვლისა და ფინანსური რესურსის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები პირებისგან მიღების შესახებ.² მორგოშიას განცხადებას წინ უსწრებდა პარტიის ერთ-ერთი სახისა და ლიდერის, ზურაბ მახარაძის ინტერვიუ, რომ „საქართველოდან საქმეზე მიდის და ლაივებში ვეღარ იქნება“.³

რუსეთთან კავშირების შესახებ არსებული ექვები გააღრმავა „ფლანგვის დეტექტორის“ [განცხადებამ](#), რომ კონსერვატიული მოძრაობის ოფიციალური ვებგვერდის ჰოსტინგი

¹ 2022 წლის მარტის მდგომარეობით

² ტელეკომპანია ფორმულა, 14.03.22, [ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/66554?fbclid=IwAR3K_Oy0rA_XABUFdUyEWpV8brO5WmYZcE1osWsWr2BvM17igbOJaMXmInM](#) ბოლოს ნანახია 7.04.22

³ მთავარი არხი, 13.03.22, ხელმისაწვდომია: [https://www.facebook.com/TvMtavari/videos/984103585589869](#) ბოლოს ნანახია 7.04.2022; კვლევის რესპონდენტის ცნობით, ზურა მახარაძე, შესაძლოა, ბელარუსში გამგზავრებულიყო სპეციალური მისიით - „ალტ-ინფოს“ სატელევიზიო ინფრასტრუქტურის გასამართად და მაუწყებლობის მინსკიდან განსახორციელებლად. სავარაუდოდ, გადაცემების მთავარი თემა უკრაინაში მიმდინარე ომი იქნება, სიუჟეტები კი ძირითადად რუსეთის არმიის ძლევამოსილებაზე მომზადდება. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტრაფიკები და სოციალური ქსელები რუსეთში დაბლოკილია, ბელარუსში გამგზავრება უფრო ახლო დგას რეალობასთან.

რუსეთში მდებარეობს. ჰოსტის ლოკაციის მიხედვით პარტიის საიტზე განთავსებული მონაცემები მოსკოვში, წითელ მოედანთან ახლოს ინახება.

2. შესაძლო რუსული კავშირები

„კონსერვატიული მოძრაობის“ ოფიციალურ ვებ-საიტზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით 2022 წლის იანვარში გაიმართა რუსეთის დუმის დეპუტატებისა და „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთობლივი [კონფერენცია](#) ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა [არტიომ ვიქტორის ძე ტუროვი](#), რომელიც სახელმწიფო დუმის დეპუტატი და დსთ-ს საქმეთა, ევრაზიის ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდა [კაზბეკ ტაისაევი](#) - რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი და დსთ-ს საქმეთა, ევრაზიის ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.⁴

კაზბეკ ტაისაევი 11 მარტს მოხვდა აშშ-ს მიერ ინდივიდუალურად სანქცირებული პირების სიაში.⁵ სხვადასხვა [წყაროს](#) ცნობით, ის „ალტ-ინფოს“ კურატორი და ლობისტია. ის ხშირად მართავდა ვიდეოკონფერენციებს ქართველ პოლიტიკოსებთან ერთად, რომელთა შორისაც იყვნენ „კონსერვატიული მოძრაობისა“ და პარტია „ევროპელი სოციალისტების“ [წევრები](#).

რუსულ მედიაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ტაისაევი და მისი ოჯახის წევრები დიდი რაოდენობით უძრავ ქონებას ფლობენ. ქონების ნაწილი მოსკოვში მდებარეობს. ტაისაევის ვაჟი 2019 წლიდან დასაქმებულია რუსეთის საგარეო სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე. თავად ტაისაევი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან დაახლოებული და მათი ნდობით აღჭურვილი პირია. ტაისაევის 2020 წლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის მიხედვით, მისმა შემოსავლებმა 5.5 მილიონი რუბლი შეადგინა. სავარაუდოა, რომ ოფიციალურად დეკლარირებული ქონების გარდა, იგი გაცილებით დიდი კაპიტალის მფლობელია.⁶

რაც შეეხება არტიომ ტუროვს, მან აქტიური პოლიტიკური საქმიანობა 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც სმოლენსკის რეგიონული დუმის დეპუტატად აირჩიეს. 2015 წლიდან ის რუსეთის ფედერაციის ფედერალური ასამბლეის სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებს.⁷ ტუროვმა ძალიან ახალგაზრდამ მიაღწია წარმატებას რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოების საქმეში. კვლევის ინფორმატორის ცნობით, იგი ბიზნესსაქმიანობასაც ეწევა და არაოფიციალურად ფლობს დიდი რაოდენობით ქონებას. 2020

⁴ კონსერვატიული მოძრაობა, 21.01.2022, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/conservative.movement.official/videos/353098136349803>, ბოლოს ნანახია 7.04.22

⁵ აშშ-ს ხაზინის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაცია, ხელმისაწვდომია:

<https://home.treasury.gov/policy-issues/financial-sanctions/recent-actions/20220311>, ბოლოს ნანახია 07.04.22

⁶ Yugopolis, 18.02.2022, ხელმისაწვდომია: <https://www.yugopolis.ru/news/russkaya-sluzhba-bi-bi-si-nashla-u-deputata-gosdumy-dopustivshego-otkaz-rossiyan-ot-chasti-dohodov-radi-donbassa-imushestvo-bolee-chem-na-100-millionov-rublej-146440> ბოლოს ნანახია 7.04.2022

⁷ Единая Россия, ხელმისაწვდომია: <https://er.ru/person/65c40e41-84e2-4ff5-a2fb-b0dd56f3df45> ბოლოს ნანახია 7.04.2022

წლის დეკლარაციის მიხედვით ტუროვი 5.6 მილიონი რუბლის მფლობელია.⁸ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები მისი ინტერესის სფეროა. 2022 წლის 30 მარტს ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი სამართლებრივ ნაბიჯებს გადადგამს რუსეთთან შესაერთებლად. არტემ ტუროვი ამ შემოთავაზებას მიესალმა:

„ეს გადაწყვეტილება იძლევა თვითგამორკვევის უფლებას, უნარს, განვსაზღვროთ როგორც ჩვენი მომავალი, ასევე, განვითარების ვექტორი. ჩვენთვის კი ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რადგან 2008 წელს რუსეთმა ღიად დაუწყო წინააღმდეგობის გაწევა დასავლეთის ერთიან ზეწოლას. რა თქმა უნდა, ეს ისტორიული მოვლენაა. ვფიქრობ, რომ, როგორც რუსი, ასევე ოსი ხალხები, მხარს დაუჭერენ ამ გადაწყვეტილებას.“⁹

კვლევის ინფორმატორის განცხადებით, ტუროვსა და ტაისაევს ახლო კავშირები აქვთ „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ და ჩართულები არიან მათ დაფინანსებაში.

3. „კონსერვატიული მოძრაობის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი

ოფიციალური მონაცემებით „კონსერვატიული მოძრაობის“ შემომწირულება 2022 წლის 26 მარტის ჩათვლით 94.035 ლარია. შემომწირველები ძირითადად რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები არიან. ზეზვა ჩანქსელიანი პარტიის ყველაზე მსხვილი შემომწირველია. მან 2022 წლის 10 მარტს პარტიას 8000 ლარი [შესწირა](#). 2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ზეზვა ჩანქსელიანმა ხელისუფლების მიერ ღიად მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ 1000 ლარის შემომწირულება [გაიღო](#).

ზეზვა ჩანქსელიანი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის, მურად ჩანქსელიანის ოჯახის წევრია. მურად ჩანქსელიანის [დეკლარაციის](#) მიხედვით, ზეზვა ჩანქსელიანი მასთან ერთად ფლობს ქონებას.

ზეზვა ჩანქსელიანის სახელზეა [გაფორმებული](#) არაერთი კომპანია. მათი დეტალური შემოწმების შედეგად ყურადღებას იპყრობს შპს „მშენებელი 2006“. კომპანია საქმიანობას ამბროლაურში ეწევა და დაკავებულია სამშენებლო სამუშაოებით. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ 2015 წლისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ითვისებდა გამოყოფილ ფინანსებს, თუმცა პროექტების უმეტესობა დაუსრულებელი რჩებოდა. 2014 წლის 24 აგვისტოს სტიქიის შედეგად განადგურებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად, შპს „მშენებელი 2006“-მა გამარტივებული შესყიდვით, ტენდერის გარეშე, 980 000 ლარი მიიღო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ამბროლაურის საკრებულოს წევრმა ოპოზიციის რიგებიდან, გოჩა კერესელიძემ მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

[კომპანიას] მსგავსი საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნდა. უფრო მეტიც, მონაწილეობაც კი არ აქვს მიღებული არცერთ სამშენებლო ტენდერში. კომპანიას

⁸ Ruper.org, ხელმისაწვდომია: <https://rupep.org/ru/person/5878> ბოლოს ნანახია 7.04.2022

⁹ Pia.ge, 31.03.2022, ხელმისაწვდომია: <https://pia.ge/news/konfliktebi/rusetisa-da-samkhret-osity-mosakhleoba-mkhars-dauchers-respublikis-rusettan-sheertebis-gadatskvatilebas-artem-turovi> ბოლოს ნანახია 7.04.2022

არ გააჩნია საკუთარი ტექნიკა და გაუგებარია, თუ რა ნიშნით შეარჩია ის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ამ სამუშაოების შესასრულებლად.

აღებული პასუხისმგებლობის მიუხედავად, კომპანიამ დაკისრებული ვალდებულებები არ შეასრულა და სამუშაოები შუა გზაზე მიატოვა, თუმცა, კვლევის რესპონდენტის თქმით, ამ ფაქტზე ადგილობრივ ხელისუფლებას სათანადო რეაგირება არ ჰქონია. კომპანიას არც შესაბამისი ჯარიმა დაჰკისრებია. თავის დროზე ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმაც:

„მშენებელი 2006“ შეარჩია და შესაბამისი წინადადებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა. საკითხის განხილვის პროცესში კომპანიის წარმომადგენელი, ზეზვა ჩანქსელიანი მოწვეულ იქნა საკრებულოს სხდომაზე, სადაც ხანგრძლივი კითხვა-პასუხის შემდეგ მან კომპანია „მშენებელი 2006“ წარმოაჩინა, როგორც კომპეტენტური და სანდო, რომელსაც შესრულებული ჰქონდა არაერთი მსგავსი სამუშაო და ხაზი გაუსვა, რომ შესათანხმებელი ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა შესრულებულ სამუშაოებზე 3-წლიანი გარანტია, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა თანხმობა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებაზე.¹⁰

კვლევისას გაირკვა, რომ შპს „მშენებელი 2006“ „ქართული ოცნების“ ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გია გაზდელიანის სახელს [უკავშირდება](#). იგი იკავებდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტსაც.¹¹ 2016 წლის არჩევნების წინ, გაზდელიანმა კომპანია ჯერ სამსონ ფირცხალავას [გადაუფორმა](#) უსასყიდლოდ, შემდეგ კი ალუდა ჩანქსელიანს. დღეს კომპანიის მმართველია ალუდას ძმა, [ზეზვა ჩანქსელიანი](#).

ზეზვა ჩანქსელიანის საკუთრებაში არსებული კომპანიებიდან ასევე აღსანიშნავია შპს [„კოლხიდმშენი 2011“](#), რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული სახელმწიფო ტენდერებში, თუმცა სამი ტენდერიდან მხოლოდ ერთში გაიმარჯვა. ამ შემთხვევაში შემსყიდველი იყო ლენტეხის მუნიციპალიტეტი, მომსახურების სავარაუდო ღირებულება კი 187 882 ლარს შეადგენდა.¹²

გარდა ამ კომპანიებისა, წარსულში ზეზვა ჩანქსელიანი იყო „სპორტული კლუბი „დუჩის“ [მეწილე](#) და ფლობდა 50%-იან წილს. მასთან ერთად კომპანიის 50%-იან წილს ფლობდა დილარ ხაბულიანი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და, ასევე, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის [წევრია](#). ჩანქსელიანმა თავის წილზე უარი 2015 წელს განაცხადა.

¹⁰ ინფო9, 8.07.2016, ხელმისაწვდომია: <https://info9.ge/politika/150698-ambrolauris-municipaliteti-nacionalur-modzraobas-pasukhobs.html? ბოლოს ნანახია 7.04.2022 lang=ka-GE>

¹¹ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, ხელმისაწვდომია: <http://nala.ge/post/242256-lentexis-municipaliteti- ბოლოს ნანახია 7.04.2022>

¹² ტენდერების მონიტორი, ხელმისაწვდომია: <https://tendermonitor.ge/ge/organization/17217 ბოლოს ნანახია 7.04.2022>